4
ნ-464

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

**ნანა გურამის ასული ხეცურიანი**

# უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია
## (ქართული, ინგლისური და ესპანური ენების მასალაზე)

სპეციალობა 10.02.02.
ენათმეცნიერების თეორია და ისტორია

## ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1999

4 -1788-
6-464
ხეცურიანი ნ.გ.
-1788-

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნანა გურამის ასული ხეცურიანი

# უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია
## (ქართული, ინგლისური და ესპანური ენების მასალაზე)

სპეციალობა 10.02.02.
ენათმეცნიერების თეორია და ისტორია

## ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1999

ნაშრომი შესრულებულია ი.ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორიული და შეპირისპირებითი ლინგვისტიკის კათედრაზე

*სამეცნიერო ხელმძღვანელი:* ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **მადონა მეგრელიშვილი**

*კონსულტანტი:* **მ.ბ. ზიგლერი,** ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრის პროფესორი, აშშ, ჯორჯიის შტატი, ქ.ატლანტა

*ექსპერტი:* ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **მაია ნათაძე**

*ოფიციალური ოპონენტები:*

1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
   პროფესორი **მიხეილ ქურდიანი**
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
   დოცენტი **ნანა ძოწენიძე**

*წამყვანი ორგანიზაცია:* სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება "15" დეკემბერს 1999 წ. 14 სთ, ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P 10.02.C №6 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

*მისამართი:* 380028, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 1,
I კორპუსი, აუდ. №93.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა "8" XI 1999წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **გ.წიბახაშვილი**

# ნაშრომის ზოგადი დახასიათება

-1788-

უარყოფა არის ადამიანის აზროვნების უნივერსალური კატეგორია. აზროვნება, კერძოდ ლოგიკური აზროვნება, მხოლოდ ცნებითია, ე.ი. არ არსებობს ცნებებით ოპერირების გარეშე. ცნება კი თავისთავად ენის გარეშე არ არსებობს, აქვს მხოლოდ სიტყვიერი ფორმა. ამდენად, ნებისმიერი აზროვნებითი კატეგორია არის რთული კომპლექსური მოვლენა, რომელშიც ენისა და აზროვნების ურთიერთ-ჩახლართული მიმართება ვლინდება. ჩვენი კვლევის საგანია უარყოფის კატეგორიის არსებობის ხასიათი და ფორმები ენაში.

ენაში უარყოფას აქვს გამოვლენის არა ერთი ფორმა, არა ერთი სფერო, ვლინდება არა მარტო ერთ რომელიმე დონეზე, ახასიათებს არა ერთი დისტრიბუცია (უზუალური თუ კონტექსტური), მაგრამ ყველგან და ყოველთვის ერთ ძირითად ფუნქციას ინარჩუნებს (ნიუანსები, რა თქმა უნდა, არ გამოირიცხება), ანუ ერთი სემანტიკური დატვირთვა აქვს. ამიტომ ეს კატეგორია შეიძლება განიხილებოდეს როგორც ენის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია, რომელიც ენის სხვადასხვა დონეზე მოქმედებს. უარყოფის განხილვა ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის რანგში, რაც ველის პრინციპით ხორციელდება, წარმოადგენს ნაშრომის ამოსავალ თეორიულ დებულებას.

ენის, როგორც სისტემის, კვლევის პლანში აუცილებლად მივიჩნიეთ უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური ველის შედგენა და კომპლექსური შესწავლა. ამ პლანს სისტემის ელემენტების ინვენტარიზაციის გარდა ეკუთვნის აგრეთვე უზუალური დისტრიბუცია. შესწავლის სისრულე გულისხმობს, რა თქმა უნდა, ამ პლანში შესწავლასაც.

მეორე პლანი ნებისმიერი ენობრივი მოვლენის, მათ შორის ჩვენი კვლევის ობიექტის შესწავლისა, არის მისი შესწავლა კონტექსტში, კომუნიკაციის პროცესში. ამრიგად, კვლევა ვაწარმოეთ როგორც სისტემური, ასევე ფუნქციურ-სემანტიკური მიმართულებით.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე და მისი აქტუალობა** მდგომარეობს შემდეგში:

- გამოკვლეულია უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ენაში არსებობის ფორმები სისტემური ურთიერთმიმართებების კუთხით, რამაც შრომაში მიიღო ფუნქციურ-სემანტიკური ველის სახე.